განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი**
**სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი 12 იანვარი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 19 თებერვალი 2022

თბილისი
2022

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი<br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფსიქოლოგია, Psychology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ფსიქოლოგიის ბაკალავრი, Bachelor of Psychology |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ფსიქოლოგია, 0313 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პირობით აკრედიტებული<br>გადაწყვეტილება N52, 2020 წლის 24 მარტი |

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ბერიძე, სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნათია სორდია, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, | ია ნაცვლიშვილი,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო |

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| | უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლანა ბოკუჩავა,შპს ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი,სტუდენტ - ექსპერტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან, თავდაპირველად (2012-დან 2014 წლამდე) ავტორიზებულ რეჟიმში. პროგრამის პირველი აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს (გადაწყვეტილება N254, 10.12.2014 წელი), ხოლო მომდევნო - 2020 წელს (გადაწყვეტილება N12, 24.03.2020 წელი). პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტისაგან. პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები შეადგენს 136 კრედიტს (მათ შორის, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 111 ECTS, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS). პროგრამის თავისუფალი კომპონენტი შეადგენს 104 კრედიტს (მათ შორის საბაზისო სასწავლო კურსები - 20 ECTS, ინგლისური ენის კომპონენტი - 24 ECTS და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები - 60 ECTS).

- აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, შეესაბამება და აკმაყოფილების სწავლის სფეროს კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  - სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2022 წლის 12 იანვარს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლატფორმის მეშვეობით.
  - წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა სსიპ-ის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის ციური დურულის, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით.

- ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 1.2, 2.1., 2.3, 2.4.,2.5., 3.1, 3.2, 4.1., 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2 სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; და 2.2 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.
- **რეკომენდაციები**

2.2. მიზანშეწონილია ცალკეული კურსების ფარგლებში სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაზე დაშვების არსებულ წინაპირობებთან.

2.2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო გეგმით ჯერ ისწავლებოდეს ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ხოლო შემდეგ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.2. სასურველია კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის სავალდებულო სასწავლო კურსში გადატანა.

2.5.სასურველია, რომ სილაბუსებში მხოლოდ ის მეთოდები იყოს მითითებული, რომელიც რეალურად გამოიყენება სწავლების დროს.

5.3. სასურველია უფრო დეტალური გარე კოლეგიალური შეფასების მიღება საზღვარგარეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან და დარგის სპეციალისტებისგან.

2. **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

**ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პირობითი აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. საჭიროებიდან გამომდინარე, თეორიული მასალისა და თანამედროვე ინფორმაციის უფრო სრულყოფილი ათვისებისა და შეფასების ობიექტურობის გაზრდის მიზნით, ხდებოდა სწავლის შედეგებისა და შეფასების სისტემის მოდიფიცირება. კერძოდ, შეიცვალა და გაუმჯობესდა პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანამიმდევრობა და ლოგიკური წყობა შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „სოციალურ მეცნიერებათა“ ბაკალავრის ხარისხის ნაცვლად მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახდა „ფსიქოლოგიის“ ბაკალავრი. ცლილებები განხორციელდა სასწავლო კურსებში. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი: „კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია“. სასწავლო კურსი „ქცევის გამოყენებითი ანალიზი“ გადატანილ იქნა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ნუსხაში.

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| **1.1 პროგრამის მიზნები** |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას შეესაბამება ამავე უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი მოამზადოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში ფართო ცოდნით, ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვის, განხორციელების და მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე სათანადო დასკვნის ჩამოყალიბების უნარით. პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც ფლობს ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით, დარგში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციის უნარებს და სცნობს ცოდნის განახლებისა და ეთიკური პრინციპების დაცვით საქმიანობის აუცილებლობას.<br>ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით შემუშავებული ამ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს დასაქმდეს, თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში ან/და გააგრძელოს სწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურა).<br>სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია. ეს პროცესი მოიაზრებს, ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერებულ სწავლებას, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერას, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში, საერთაშორისო კვლევებში სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერას, უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვას საერთაშორისო სასერთიფიკატო პროექტების განხორციელებას და ა.შ.<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ და საჯაროა (დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მაგ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. |

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას და აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შესაბამისობაში საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან და ჩანს, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი შეძლებს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციების, მისი ფილოსოფიური საფუძვლების, ფსიქოლოგიის დარგების სპეციფიკის აღწერას; ადამიანის ფსიქიკის თავისებურებების, განვითარების ეტაპების, ქცევის კანონზომიერებების განხილვას. ფსიქოლოგიის ზოგიერთი უახლესი ასპექტების, პრობლემური საკითხების განსაზღვრას და ა.შ. პროგრამის კურდამთავრებული, შესაბამისი მხარდაჭერის პირობებში, ეთიკის პრინციპების დაცვით ქმნის კვლევით ან პრაქტიკულ პროექტს, აგროვებს და ამუშავებს (იგულისხმება მონაცემთა პირველადი დამუშავება) მონაცემებს, აყალიბებს დასკვნებს, მსჯელობს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ და სცნობს მუდმივი გავნითარების აუცილებლობას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული პირი მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობა. მასში ასახულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე მონიშნულია ცალკეულ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსები. რუკაზე არ არის აღნიშნული თუ რომელი კურსის ფარგლებში ხდება პროგრამის შედეგების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება, თუმცა, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, შედეგების შეფასებისთვის მხოლოდ საკვანძო კურსების (სასწავლო კურსები, რომლის ფარგლებშიც ხდება პროგრამის სწავლის შედეგის განმტკიცება) პირდაპირი (შუალედური და დასკვნითი გამოცდები) და არაპირდაპირი (სტუდენტების გამოკითხვა) შეფასება იგეგმება. სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია შეწონილი შეფასების 70%. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იგეგმება დეკანის განკარგულებით შექმნილი შეფასების ჯგუფის მიერ. სწავლის შედეგების შეფასების შედეგის გამოყენება იგეგმება პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-20 დადგენილება);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და გსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით. პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე ირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა და გსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების ჩარიცხვა რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.<br>ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს. ამასთან, პირის პროგრამაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში გამოცდების ჩაბარება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>• სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით და შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის სტანდარტს, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემას.<br>პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის საფეხურს, ასევე, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი). ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტისაგან. **ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (136 ECTS)** ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების სახით. **ძირითადი სწავლის სფეროს** სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს **სავალდებულო სასწავლო კურსები (111 ECTS)**, მათ შორის 10 კრედიტი პრაქტიკის ხარჯზე. **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (25 ECTS)** ორიენტირებულია სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნის გაღრმავებაზე. პროგრამის **თავისუფალი კომპონენტი (104 ECTS)** წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების (საბაზისო სასწავლო კურსები, ინგლისური ენის კომპონენტი) და |

არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. საბაზისო სასწავლო კურსები გამოუმუშავებს სტუდენტს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების დაუფლებისათვის საჭირო საწყის უნარებს.

**საბაზისო სასწავლო კურსებ**ის ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი **(20 ECTS).** ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 24 კრედიტის მოცულობით, 5 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ინგლისური ენის 24 კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტი მიზნად ისახავს ინგლისური ენის B1.1(pre-intermediate) დონიდან (ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად) B2/1(Intermediate) დონის მიღწევას. სტუდენტი, რომელიც ვერ ფლობს ინგლისურ ენას B1.1(pre-intermediate) დონეზე, მისი ინგლისური ენის ფლობის დონის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ინგლისური ენის კომპონენტის შესწავლას იწყებს A1 (Elementary) ან A2 (Elementary) დონიდან და ასრულებს სავალდებულო დარგობრივი ინგლისური ენის შესწავლით. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი 60 კრედიტის მოცულობით. უნდა აღინიშნოს, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და ასევე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. თუმცა, რიგ სასწავლო კურსებში ..... გვხვდება სავალდებულო ლიტერატურა ინგლისურ ენაზე და ამ სასწვლო კურსს წინაპირობად არ აქვს მითითებული დარგობრივი ინგლისური. მიზანშეწონილია, ხსნებულ სასწავლო კურსებში შეიქმნას ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისი რიდერები ქართულ ენაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში ბაზისური და ზოგადი სასწავლო კურსების გარდა, რომელიც შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, ვხვდებით ისეთ სპეციფიკურ სასწავლო კურსს, რომელიც ფოკუსირებულია ფსიქოლოგიის კონკრეტულ სფეროზე, კერძოდ, ფსიქოთერაპიაზე; მაგ., ვხვდებით ისეთ სასწავლო კურსს, როგორიცაა: კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია, რომელიც ისწავლება მეექვსე სემესტრში, ხოლო ფსიქოთერაპიის საფუძვლები კი მერვე სემესტრში, ვინაიდან CBT გახლავთ არჩევით სასწავლო კურსების სიაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო გეგმით ჯერ ისწავლებოდეს ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ხოლო შემდეგ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია. მოგეხსენებათ, რომ ფსიქოთერაპიის საფუძვლებში სტუდენტები ღებულობენ ინფორმაციას ფსიქოთერაპიის სახვადასხვა სკოლების შესახებ და მათ შორის CBT-ს შესახებაც. ვფიქრობთ, ეს გარემოება დაეხმარება მათ გადაწყვეტილების მიღებაში არჩევითი საგნების რეგისტრირების დროს. ვინაიდან CBT გახლავთ თერაპიული მიმართულება, რომელიც ეყრდნობა მეცნიერულ მტკიცებულებებს და ძირითადად გამოიყენება კლინიკებსა და სარეაბილიტაციო ცენტრებში მისასალმებელია მისი ჩართვა სასწავლო პროგრამაში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ, აკრედიტაციის ვიზიტის დროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის დამატება სასწავლო პროგრამაში ეყრდნობა დამსაქმებლის მოთხოვნას და ბაზრის ანალიზს, საიდანაც ჩანს რომ მოთხოვნა დიდია პრაქტიკული ფსიქოლოგიის მიმართულებით უნარების მქონე სპეციალისტებზე, ხოლო სწავლების პროცესი ხელს უნდა უწყობდეს ამ უნარების შეძენას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია CBT-ს და ფსიქოთერაპიის სასწავლო საგნების სწავლების სემესტრების გადახედვა ან კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის სავალდებულო სასწავლო კურსში გადატანა.

პროგრამის შემდგომ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია, ისინი განსაზღვრულია კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის. პროგრამაში შემავალი

| |
|---|
| სასწავლო კურსები, მათი მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასურველია სწავლების შედეგების რუკა შედგენილი იყოს თანამედროვე, სტანდარტების შესაბამისი ფორმით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია;<br>○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების მატრიცა და შედეგების რუკა;<br>○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• მიზანშწონილია ცალკეული კურსების ფარგლებში სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაზე დაშვების არსებულ წინაპირობებთან.<br>• მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო გეგმით ჯერ ისწავლებოდეს ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ხოლო შემდეგ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის სავალდებულო სასწავლო კურსში გადატანა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ორიენტირებულია სტუდენტის მიერ ფსიქოლოგიის ბაკალავრისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შედეგების რუკა ნათლად მიუთითებს, რომ ძირითადი სფეროს ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რომლებიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისათვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია კურსის სპეციფიკის, მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით; სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. აღნიშნული შესაბამისობის გადამოწმება ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის, ასევე ამ სასწავლო კურსში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის გზით. სასწავლო კურსით გათვალისწინებული და შესაბამის სილაბუსში მითითებული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს აქტუალურ მიღწევებს ფსიქოლოგიის სფეროში და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი, უზრუნველყოფილია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა. რასაც ადასტურებს ინტერვიურების დროს წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ასევე მათ მიერ |

| |
|---|
| წარმოდგენილი ვებ-გვერდზე განთავსებული საერთაშორისო ბაზები. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მეტი ჩართულობის საჭიროება. სასურველია პერსონალის და სტუდენტების მიერ უფრო მეტად იყოს ათვისებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის რესურსი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;<br>○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>○ სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების |

| |
|---|
| განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა, მისი კომპონენტები უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, აგრეთვე პროგრამის კურიკულუმის რუკაში. თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია სტუდენტის მიერ საკურსო ნაშრომის/პროექტის შესრულების და დაცვის შესახებ, რომელიც გულისხმობს პრობლემური საკითხის გადაწყვეტას ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. დოკუმენტების გამოთხოვების და ინტერვიურების დროს აღმოჩნდა, რომ საბაკალავრო ნაშრომი არც ერთ სტუდენტს არ აქვს შესრულებული, ამასთანავე პროექტის შესრულებას არ ეთმობა ცალკე საათები და განფენილია სხვადასხვა სასწავლო კურსებში, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია კვლევითი პროექტის შესრულებისთვის საჭირო დოკუმენტის სისტემაში მოყვანა, რომელიც იქნება ნავიგაციური დოკუმენტი(გაწერილი დავალებები, პრაქტიკული ტექნიკები და ინსტრუმენტების ჩამონათვალი), რომელიც გაამარტივებს და დაეხმარება სტუდენტებს პროექტის ეფექტურად შესრულებაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში მიღებული დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი უნარების, სხვადასხვა სფეროში პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების დოკუმენტირებას. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს უვითარებს დამოუკიდებელი საპროექტო/კვლევითი სამუშაოს წარმართვის საწყის უნარებს და ამზადებს წინაპირობებს, რათა სტუდენტმა უფრო მარტივად შეძლოს აკადემიური განათლების მე-2 საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლა. მიგვაჩნია, რომ სასურველი იქნებოდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება აქტიურად იყოს ჩართული სსწავლების პროცესში, ვინაიდან ინტერვიურების დროს სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ სამაგისტრო პროგრამის გორის უნივერსიტეტში არსებობის საჭიროებას, ხოლო დამსაქმებლები აღნიშნავდნენ მაგისტრების ნაკლებობას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს რიგი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას. მიგვაჩნია, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება მოამზადებს სტუდენტებს სწავლების მეორე საფეხურისთვის.<br>ამასთან ერთად, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტში ყოველ სემესტრში ტარდება საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში. თუმცა ინტერვიურების დროს სტუდენტებს არ დაუდასტურებიათ მონაწილეობის მიღება რომელიმე საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციაში. სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის მექანიზმი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალები;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდების გამოყენებით. ეს მეთოდებია: **ვერბალური**, ანუ ზეპირსიტყვიერი; **წიგნზე მუშაობა; წერითი მუშაობა; პრაქტიკული; დისკუსია/დებატები; ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)**; **შემთხვევის ანალიზი** (Case study); **გონებრივი იერიში** (Brain storming); **დემონსტრირება; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა-განმარტება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; როლური თამაშები/ სიმულაციის მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი; ევრისტიკული მეთოდი; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;**

სწავლება-სწავლის მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული სასწავლო

კურსისთვის. მაგალითად, კურსი ნეიროფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია - ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; დისკუსია-დებატების მეთოდი; შემთხვევების ანალიზის მეთოდი. ხოლო კურსი - ფსიქოკონსულტირების საფუძვლები სხვა ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, იყენებს პრაქტიკულ მეთოდებს, ისეთი როგორიცაა ***პრაქტიკული მეცადინეობა,*** რომელიც ხორციელდება პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებით, რომლის მიზანია სალექციო თემის ფარგლებში შესაბამისი უნარ-ჩვევის შემუშავება და განმტკიცება, რაც დასტურდება **სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკის** საფუძველზე. ***კონსულტაცია, პრეზენტაცია*** პრეზენტაცია შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა/სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში განმარტებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. თუმცა, ინტერვიურებიდან ირკვევა, რომ მითითებული სწავლების მეთოდის - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) გამოყენების აღწერა ბუნდოვანია, ამასთანავე ინტერვიურების დროსაც გამოჩნდა, რომ ამ მეთოდის გამოყენება პრაქტიკულად არ ხდება. სასურველია, რომ სილაბუსებში მხოლოდ ის მეთოდები იყოს მითითებული, რომელიც რეალურად გამოიყენება სწავლების დროს.

სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს და კურსის შინაარსს. შერჩეული სწავლა/სწავლების მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია, როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევა.

სასწავლო კურსების სწავლებასთან დაკავშირებით სტუდენტთა გამოკითხვის მონაცემების საფუძველზე, სადაც საუბარი იყო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე სტუდენტებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს პროფესიულ პრაქტიკაზე. მისი მიზანია, საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს განავითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად. პროფესიული პრაქტიკის გავლის პერიოდში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს ორგანიზაციაში მომუშავე ფსიქოლოგი ან მოწვეული მასწავლებელი, რომელიც არის დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. თითოელი სასწავლო კურსი თეორიულ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაოს (ამოცანები, ქვიზები, პრაქტიკული სიტუაციების გაანალიზება, როლური თამაშები/სიმულაცია).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის შეძენასა და მის გაცნობიერებაზე, არამედ სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, რომ სილაბუსებში მხოლოდ ის მეთოდები იყოს მითითებული, რომელიც რეალურად გამოიყენება სწავლების დროს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.6. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების და კანონმდებლობასთან შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია თითოეულ სილაბუსში, დეტალურია და გამჭვირვალე.

| |
|---|
| შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, და შეფასების საერთო ქულიდან, რომელიც 100 ქულას წარმოადგენს, განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი.<br>დასკვნითი გამოცდის ფორმები სასწავლო კურსების მიხედვით არის მრავალფეროვანი (წერითი, ტესტური, კომბინირებული და სხვა), გამჭვირვალე და რელევანტურია დასახული სწავლების შედეგების მიღწევის გასაზომად.<br>დასკვნითი შეფასების მინიმალურ სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი არ აღემატება დასკვნითი გამოცდის 60%-ს.<br>ინტერვიურებისას სტუდენტები აღნიშნავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონიათ გამოცდის გასაჩივრების გამოცდილება, ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს გამოცდის შედეგები. გასაჩივრების პროცედურა აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის XI მუხლის 6-8 ქვემუხლებში: „სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება შეფასების ან/და გამოცდის შედეგს, უფლებამოსილია, შეფასების ან/და გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ოთხი სამუშაო დღისა დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგის გადასინჯვა. საჩივარი განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი უთითებს: ა) პროცედურულ დარღვევებზე; ბ) შეფასების დადგენილი სისტემის უგულვებელყოფაზე. ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი საპრეტენზიო კომისია საჩივრის მიღებიდან 3 დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. კომისიის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული უნდა იქნეს შესაბამისი სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორი. დაუშვებელია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მომჩივანის საუარესოდ შეცვლა.“ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://gu.edu.ge/ge/student-support-services/regulatory-provision-of-the-study-process1<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| **3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი განისაზღვრება დადგენილი წესით პირის ჩარიცხვის მომენტიდან და მოქმედებს განსაზღვრულ შემთხვევებში, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტამდე.<br>სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე სათანადო ინფორმაციას. ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტის ინფორმირებაზე ზრუნავს როგორც ადმინისტრაცია, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი.<br>სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კარიერული |

| |
|---|
| განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას.<br>ასევე დაწესებულებაში მოქმედებს უცხო ენის შემსწავლელი კლუბები (ინგლისური, პოლონური, იტალიური, ფრანგული ენების კლუბები).<br>დაწესებულებაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ელექტრონული პროგრამა, სადაც სტუდენტს საშუალება აქვს თვალყური ადევნოს შეფასებებს, ასევე ინფორმაცია მიიღოს სასწავლო და საგამოცდო ცხრილების შესახებ და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;<br>○ დაწესებულების ოფიცილური ვებ-გვერდი: https://www.gu.edu.ge/ge/student-support-services/about-unit;<br>○ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა | **X** | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია სულ 18 აკადემიური პერსონალი; მათგან 4 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 9 მოწვეული სპეციალისტი. მათ შორის დარგობრივი პერსონალიდან 2 ასოცირებული პროფესორი და 5 მოწვეული პედაგოგი. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, მათ მიერ შესასრულებელ ფუნქცია-მოვალეობებთან და მოქმედ კანონდმებლობასთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციას ადასტურებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი (მეტწილად ადგილობრივ ჟურნალებში); პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვს კონკურსის წესით. მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.<br>პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“. შესწავლილი დოკუმენტაციის და ინტერვიურების საფუძველზე ირკვევა, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის ეს რაოდენობა საკმარისია პროგრამის ეფექტურად წარსამართად. მიმდინარე პროგრამის შემთხვევაში აფილირებული აკადემიური პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა არის |

9/73, აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან - 18/73, ხოლო აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 9/9.

როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამაში ჩართული პერსონალი ჩართულია სწავლების, სტუდენტების კონსულტირების, პროგრამის განვითარების პროცესებში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის ჩართვის მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს წამახალისებელი მექანიზმი. (მაგ. სახელფასო დანამატი დამატებით განხორციელებული ისეთი აქტივობებისთვის, როგორიცაა მაგ. სტუდენტის მომზადება კონფერენციისთვის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ა.შ).

ინტერვიუებიდან ასევე გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში 2021 წლის სექტემბრიდან ჩაერთო თანახელმძღვანელიც. 2020 წლის აკრედიტაციის ვიზიტის შემდგომ, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, გაიზარდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და თანახელმძღვანელთან ერთად, პროგრამას დაემატა ორი მოწვეული პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობითა (პუბლიკაციები და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა) და პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შეფასება-განვითარების პროცესში, პროგრამის ფარგლებში უძღვება სასწავლო კურსებს (მაგ. განვითარების ფსიქოლოგია, სტრესის ფსიქოლოგია, პრაქტიკა) ჩართულია სტუდენტების კონსულტირების პროცესში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში(მაგალითად, კონფერენციებში).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური საბჭოს დადგენილება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და საკონკურსო მასალები;
- მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-18 დადგენილება);
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ შესაბამისად, უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისა და, რიგ შემთხვევებში, აკადემიური პერსონალის წახალისების მიზნით (მაგ. სახელფასო დანამატი დამატებით განხორციელებული ისეთი აქტივობებისთვის, როგორიცაა მაგ. სტუდენტის მომზადება კონფერენციისთვის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ა.შ). ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მსგავსი წამახალისებელი მექანიზმის შემუშავება იგეგმება მოწვეული პერსონალისთვისაც.<br>აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშესაწყობად, უნივერსიტეტში იმართება მთელი რიგი კონფერენციები, ტრენინგები თუ სემინარები. მაგ. 2014 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად, წელიწადში რამდენჯერმე უნივერსიტეტში იმართება კონფერენციები, რომელშიც ფსიქოლოგიის პროგრამაში ჩართული პერსონალი და სტუდენტებიც მონაწილეობენ. ტარდება ტრენინგები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა მაგ. „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის |

შემუშავება“, „პლაგიატთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების თაობაზე“, „COVID – 19 - თან დაკავშირებული საკანონმდებლო სამართლებრივი აქტები და საუნივერსიტეტო რეგულაციები“ და ა.შ.

უნივერსიტეტში წახალისებულია პროექტების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა მათი დაფინანსებისა და სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერის გზით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-15 დადგენილება);
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები)
- აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება);
- პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები;
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტი ფლობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილად განხორციელებისთვის, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების წარმართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას (მაგ. ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორია-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები).

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გასაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთიკის დებულებით. ბიბლიოთეკაში ირიცხება 300 000ზე მეტი წიგნი. ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მნიშნველოვანი ნაწილია 2003 წელს აშშ მშვიდობის კორპუსის ხელშეწყობითა და ამავე კორპუსის მოხალისის - ედუარდ რაუპის თაოსნობით დაარსებული ინგლისური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს 5000 საბიბლიოთეკო ერთეულზე მეტს. არსებული წიგნების კატალოგი მოცემულია როგორც ბეჭდური (ქაღალდზე), ისე ელექტრონული სახით (OPAC), წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და დამატებითი სასწავლო მასალები, მრავალფეროვანი დარგობრივი ლიტერატურა. ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (SAGE premier, ScienceDirect, Scopus, OXFORD ACADEMIC journals და სხვა), რომლებიც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაეცნოს დარგის უახლეს სამეცნიერო კვლევებსა და სიახლეებს, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ბიბლიოთეკაში არსბეული რესურსით სარგებლობა შეუძლიათ პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს. მათ ემსახურება კომპეტენტური პერსონალი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ (მაგ. სეთი გზებით, როგორიცაა შეხვედრები პირველკურსელებთან, ბიბლიოთეკაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე გამოკრული ინფორმაცია, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია). სტუდენტს აქვს საშუალება წინასწარ დაჯავშნოს წიგნი და სასურველ დროს გაიტანოს. ლიმიტირებული რაოდენობით არსებული წიგნების შემთხვევაში ხდება ცალკეული თავების გაციფრულება და გადაგზავნა სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის განახლება რეგულარულად ხდება დარგობრივი სიახლეებისა და პროგრამის პერსონალის მოთხოვნების გათვალისწინებით. ასე, მაგ., 2020 წლის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიც არის მაგ „ნეიროფსიქოლოგია“, „განვითარების ფსიქოლოგია“, „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „იურიდიული ფსიქოლოგია“ დაემატა თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც შეკვეთილია და როგორც ინტერვიუდან გაირკვა, ბიბლიოთეკა წიგნებს 2022 წლის იანვრის ბოლოსთვის მიიღებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შესაბამისი კომპიუტერული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ლაბორატორიები;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასწავლო უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
- ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმართვისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში. როგორც ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებიდან ირკვევა, ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან ცალკეული ფაკულტეტების წარმომადგენლები (წერილობით განცხადების წარდგენის თუ პერიოდული შეხვედრების გზით). უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის ფარგლებში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურება, პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა თუ სავალდებულო ლიტერატურის შეძენის ხარჯები. ამ ხარჯებისთვის განსაზღვრული ფინანსური რესურსები ასახულია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროს, ითვალისწინებს ბიზნეს პროცესების აღდგენას კრიზისულ სიტუაციებში და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული პროგრამების, მათ შორის ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტ ფუნქციონირებასა და მდგრადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

| |
|---|
| o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| **5.1 შიდა ხარისხის შეფასება** |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებულია, როგორც სისტემური, ისე საჭიროებაზე მორგებული კვლევები/შეფასებები. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით ყოველწლიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების განხორციელების შეფასებას, აგრეთვე პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და პროფესიული განვითარების შეფასებას, ხოლო ყოველი სამი წელის პერიოდულობით - პროგრამის განხორციელების შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების განხორციელების შეფასება ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული |

| |
|---|
| შეფასების ფორმით გათვალისწინებული ინდიკატორებისა და შეფასების წყაროების (პროგრამის სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსის სილაბუსი, პედაგოგთა პირადი საქმეები, მეცადინეობებზე ურთიერთდასწრების შედეგები, სტუდენტების და პედაგოგების გამოკითხვის შედეგები) გამოყენებით. აღნიშნული შეფასება ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ სასწავლო კურსის შეფასების შედეგებს.<br><br>პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის შევსებით ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასება. ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 18 დეკემბრის N25 განკარგულებით შეიქმნა ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომელსაც დაევალა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შეფასების მიზნით პროგრამის თვითშეფასების განხორციელება და თვითშეფასების ანგარიშის მომზადება. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, ჩართული იყვნენ აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, პროგრამის სტუდენტი, კუსდამთავრებული, დამსაქმებელი, აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული სპეციალისტები. გადანაწილებული პასუხისმგებლობების მიხედვით, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა განახორციელეს პროგრამის შესაბამისობის შეფასება თითოეული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. ჯგუფის საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებდა პროგრამის ხელმძღვანელი. შემაჯამებელ ეტაპზე, თითოეული სტანდარტის მიხედვით მიღებული შედეგები განიხილა თვითშეფასების ჯგუფის სრულმა შემადგენლობამ, რა დროსაც მოხდა მასალის გარკვეული კორექტირება და თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროგრამის განვითარების მიზნით ჩამოყალიბებული რეკომენდაციები განსახილველად წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს.<br><br>ყოველივე ზემოთ თქმული, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი და დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ურთიერთთანამშრომლობს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, ამასთან იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;<br>○ დაწესებულების ვებ-გვერდი;<br>○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა;<br>○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>○ პროგრამის განხორციელებული შეფასების შედეგები და შიდა ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;<br>○ პერსონალის შეფასების შედეგები და რეაგირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;<br>○ დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და |

| |
|---|
| სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;<br>○ დაწესებულებაში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი;<br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები);<br>○ პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული მხარეების-სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;<br>○ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;<br>○ **ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ დაწესებულებიდან დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია:**<br>**ა)**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ;<br>**ბ)**საგანმანათლებლო პროგრამის შედარება (Benchmarking) უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების პროგრამებთან;<br>**გ)**პროგრამის კოლეგიალური შეფასება საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან;<br>**დ)**პროგრამის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;<br>**ე)** ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების ანგარიში;<br>**ვ)**უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური საქმიანობის გეგმა. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამამ ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2020 წელს (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N52, 2020 წლის 24 მარტი ). პროგრამის პერსონალმა საგანმანათლებლო პროგრამის ხელახლა აკრედიტაციაზე წარსადგენად მომზადების პროცესში სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, განიხილა და შეასრულა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის/აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები, კერძოდ:

- შეიცვალა პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანამიმდევრობა და ლოგიკური წყობა შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით;
- შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხის ნაცვლად მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახდა ფსიქოლოგიის ბაკალავრი;
- საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსს, მათ შორის „განვითარების ფსიქოლოგიას“, „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევებს“, „კონფლიქტის ანალიზს და მართვას“, „ნეიროფსიქოლოგიას“, დაემატა სათანადო წინაპირობები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსს, მათ შორის „პათოფსიქოლოგიას“, „ქცევის გამოყენებით ანალიზს“, განესაზღვრა რელევანტური წინაპირობები;
- პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში, მათ შორის კვლევის მეთოდებსა და პრაქტიკაში, განხორციელდა სწავლება-სწავლის მეთოდების მოდიფიცირება/დახვეწა ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- განახლდა პროგრამის რიგი სასწავლო კურსები, მათ შორის „ნეიროფსიქოლოგია“, „განვითარების ფსიქოლოგია“, „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „იურიდიული ფსიქოლოგია“, „ინკლუზიური განათლების საფუძვლები“, შესაბამის სილაბუსებს დაემატა თანამედროვე ლიტერატურა და, შესაბამისად, დარგობრივი ლიტერატურით გამდიდრდა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- სასწავლო კურსების ხარისხის ამაღლებისა და პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით, გაიზარდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა. კერძოდ, პროგრამას დაემატა ორი მოწვეული პერსონალი, ასევე თანახელმძღვანელი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. გარე ხარისხის შეფასების შედეგები: 2020 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის/აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები;
2. გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** |
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება. საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შეფასების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და/ან უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის შევსებით ახორციელებს დადგენილ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასებას. პროგრამის შეფასების შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და შეფასების შედეგების ყველა დაინტერესებული მხარისათვის გაცნობისა და შემუშავებულ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანის მიერ დადგენილ ვადებში პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო კურსების პასუხისმგებელ ლექტორებთან, უნივერსიტეტის კათედრებთან/ცენტრებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს მოსაზრებებსა და წინადადებებს არსებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.<br><br>აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ განახორციელა პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და ადგილობრივ ტენდენციებთან შედარება (banchmarking) გაკეთდა ევროპის ორი და საქართველოს ასევე ორი უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან. უნივერსიტეტები შერჩეულ იქნენ პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლების დონის და პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით. შერჩეულ იქნა შემდეგი პროგრამები: მიკოლას რომერის უნივერსიტეტი Mykolas Romeris University (ვილნიუსი, ლიტვა); მიგელ ტორგას სახელობის უმაღლესი განათლების |

ინსტიტუტი (კოიმბრა, პორტუგალია); თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ. გამოვლინდა პროგრამებს შორის მრავალი თანხვედრა: სასწავლო კურსების ჩამონათვალი აჩვენებს, რომ საგნებს შორის არის 80- 90 % მსგავსება.

**უნდა აღინიშნოს, პროგრამისთვის გამოყენებულია** საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული ქართველი კოლეგის მიერ გაკეთებული **განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებას,** კერძოდ, აღნიშნული გარე კოლეგიალური შეფასება მიღებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ განახორციელა პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, სასურველია უფრო დეტალური, განმავითარებელი, კოლეგიალური შეფასების მიღება საზღვარგარეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან და დარგის სპეციალისტებისგანაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის განხორციელებული შეფასების შედეგები და შიდა ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- პერსონალის შეფასების შედეგები და რეაგირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;
- დაწესებულებაში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები);
- პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული მხარეების-სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- **ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ დაწესებულებიდან დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია:**

  **ა)**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ;

  **ბ**)საგანმანათლებლო პროგრამის შედარება (Benchmarking) უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების პროგრამებთან;

  **გ)**პროგრამის კოლეგიალური შეფასება საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან;

  **დ**)პროგრამის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;

  **ე)** ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების ანგარიში;

  **ვ)**უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური საქმიანობის გეგმა.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• სასურველია უფრო დეტალური გარე კოლეგიალური შეფასების მიღება საზღვარგარეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან და დარგის სპეციალისტებისგან. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | **X** | | | |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**
სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:**
ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:** 37

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტები** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
**სახელი, გვარი, ხელმოწერა**

**ქეთევან ბერიძე**

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

**ნათია სორდია**

სახელი, გვარი, ხელმოწერა

**ია ნაცვლიშვილი**



სახელი, გვარი,

ხელმოწერა

**ლანა ბოკუჩავა**